585/1963/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 12 (209) 6 მაისი 1963 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

9043

განყოფილება პირველი

174. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების მინიჭების შესახებ.
175. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ს. ნოვოსიოლოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
176. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ე. რაკოვსკის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

177. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თევზის მრეწველობის მუშაკებისა და კოლმეურნე მეთევზეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
178. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
179. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
180. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ბ. ა. ვედენსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
181. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საპატიო ნიშნის ორდენით მწერალ ვ. პ. კოზაჩენკოს დაჯილდოების შესახებ.
182. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ორდენებით სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ვერტმფრინავის ეკიპაჟის წევრების დაჯილდოების შესახებ.
183. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის“ ორ-
ენით მწერალ გ. ფ. კუნგუროვის დაჯილდოების შესახებ.

184. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით ამხ. ა. კახაროვის დაჯილდოების შესახებ.
185. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით საბჭოთა კავშირის გმირის, საბჭოთა კავშირის მარშალის ს. მ. ბუდიონის დაჯილდოების შესახებ.
186. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. ნ. კოლმოგოროვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
187. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით გენერალ-პოლკოვნიკ გ. ი. ხეთაგუროვის დაჯილდოების შესახებ.
188. ბრძანებულება სსრ კავშირის უმღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ნ. პ. ანუჩინის დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

189. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სასოფლო რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებების შექმნისა და სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების გაუქმების შესახებ.
190. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ.
191. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ.
192. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დებულებაში დამატების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

193. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოს სსრ სახანძრო დაცვის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.
194. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულის“ დაჯილდოების შესახებ.
195. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

174 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებისათვის წინასწარი გამოძიების წარმოების უფლების მინიჭების შესახებ

დანაშაულებრიობასთან ბრძოლის გაძლიერების, კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა სისხლის სამართალწარმოების დემოკრატიული საწყისების გაფართოების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ პროკურატურისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომძიებლებთან ერთად წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებლები. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებლები წინასწარი გამოძიების წარმოების დროს ხელმძღვანელობენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმებით, რომლებიც გათვალისწინებულია წინასწარი გამოძიებისათვის.

2. ამ გრძანებულების 1 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 28 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„სისხლის სამართლის საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის გამომძიებლები, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების გამომძიებლები — იმ დანაშაულთა საქმეებისას, რომელთა ნუსხა დადგინდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომძიებლები — იმ დანაშაულთა საქმეებისას, რომელნიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის შემდეგი მუხლებით: 1 (სამშობლოს ღალატი), 2 (ჯაშუშობა), 3 (ტერორისტული აქტი), 4 (ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ), 5 (დივერსია), 6 (მავნებლობა), 7 (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა), 9 (ორგანიზაციული საქმიანობა, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩასადენად, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა), 10 (განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ჩადენილია მშრომელთა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ), 12 (სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება), 13 (სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა), 15 (კონტრაბანდა), 16 (მასობრივი არეულობა), 20 (უკანონო წასვლა საზღვარგარეთ და უკანონო შემოსვლა სსრ კავშირში), 21 (საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა), 25 (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა), 26 (იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილში, რომელიც ეხება 1-6, 9 მუხლებით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულთა განუცხადებლობას), 27 (იმ ნაწილში, რომელიც ეხება 1-6, 9, 15 და 25 მუხლებით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულთა დაფარვას) და სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 23 მუხლის „ა", „ბ" და „გ" პუნქტებით (სამხედრო საიდუმლოების გახმაურება ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა)".

3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს ამ ბრძანებულების შესაბამისად შეიტანონ საჭირო ცვლილებები მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 6 აპრილი.
№ 1237-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

175 ამხ. ე. ს. ნოვოსიოლოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ექვთიმე სტეფანეს ძე **ნოვოსიოლოვი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 26 აპრილი.
№ 1278-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

176 ამხ. მ. ე. რაკოვსკის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მიხეილ ევგენის ძე **რაკოვსკი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 26 აპრილი.
№ 1279-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

177 **თევზის მრეწველობის მუშაკებისა და კოლმეურნე მეთევზეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

თევზის ჭერისა და თევზის პროდუქციის წარმოების მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**:

1. ალექსანდრე ვიქტორის ძე **აპაკუმოვს** — ქაშაყის ფლოტის სამმართველოს კაპიტან-ფლაგმანს, მურმანსკის ოლქი;

2. ევგენი ალექსის ძე **ალისოვს** — საოკეანო თევზჭერის სამმართველოს დიდი საყინავი თევზსაჭერი ტრაულერის „ჟუკოვსკის“ კაპიტან-დირექტორს;

3. მამედტუვაკ ოღლი **არაზმამედს** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „ვერხოვნი სოვეტის“ თევზსაჭერი სეინერის „ჩიმკენტის“ კაპიტანს, თურქმენეთის სსრ ყიზილ-ატრეკის რაიონი;

4. კლავდიუს ვალერიანის ძე **არდეევს** — ქაშაყის ფლოტის სამმართველოს საშუალო თევზსაჭერი ტრაულერის „აისტის“ კაპიტანს, მურმანსკის ოლქი;

5. ვასილ ვასილის ძე **ახაიმის** — ვ. ი. ლენინის სახელობის მეთევზეობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, კამჩატკის ოლქის კორიაკთა ნაციონალური ოკრუგი;

6. იოზას დომის ძე **ბარუსევიჩუსს** — თევზის მრეწველობის ლიტვის საწარმოო სამმართველოს დიდი საყინავი თევზსაჭერი ტრაულერის „კრილოვის“ თევზჭერის უფროს ოსტატს;

7. სიმონ გრიგოლის ძე **ბელოუსოვს** — ვ. ი. ლენინის სახელობის მეთევზეობის კოლმეურნეობის მცირე თევზსაჭერი სეინერის კაპიტანს, ქალაქი კამჩატკის პეტროპავლოვსკი;

8. დიმიტრი იაკობის ძე **ბერეკოს** — ვეშაპსანადირო ფლოტილიის „სოვეტსკაია როსიას“ ვეშაპსანადირო გემის „რეზვის“ ჰარპუნერს, ზღვისპირეთის მხარე;

9. ანდრია მიხეილის ძე **ბურლაჩენკოს** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „ზავეტი ილიჩას“ თევზსაჭერი სეინერის „მინჩანინის“ კაპიტან-ბრიგადირს, დონეცკის ოლქის ნოვოაზოვსკოეს რაიონი;

10. ნიკონ ზოსიმეს ძე **ვესელკოვს** — მტრალავი ფლოტის სამმართველოს თევზსაჭერი ტრაულერის „პეტროპავლოვსკის“ კაპიტანს, არხანგელსკის ოლქი;

11. ვლადიმერ ლეონტის ძე **ვოლოგინს** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „ჩერნომორეცის“ თევზსაჭერი სეინერის კაპიტან-ბრიგადირს, კრასნოდარის მხარის ქალაქი ნოვოროსიისკი;

12. ვოლდემარ კარლის ძე **გამსს** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „ნოვი მირის“ თევზსაჭერი სეინერის „გიბკის“ კაპიტანს, ზღვისპირეთის მხარის შკოტოვოს სამრეწველო რაიონი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. პავლე ივანესძე **გოროდილოვს** — მტრალავი ფლოტის სამმართველოს დიდი საყინავი თევზსაჭერი ტრაულერის „ხაბაროვსკის“ თევზჭერის უფროს ოსტატს, მურმანსკის ოლქი;

14. ივანე კუზმას ძე **გურევს** — სეინერების ფლოტის სამმართველოს თევზსაჭერი სეინერის „ოლხონის“ კაპიტანს, სახალინის ოლქი;

15. აბდულაჰმედ აჰად ოღლი **ჰუსეინოვს** — საზღვაო სარეწი და სატრანსპორტო ფლოტის ბაზის თევზსაჭერი სეინერის „აღსტაფას“ კაპიტანს, აზერბაიჯანის სსრ;

16. ვასილ პეტრეს ძე **ევსეევს** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „პამიატ ილიჩას“ თევზსაჭერი სეინერის „ასტრახანეცის“ კაპიტანს, ასტრახანის ოლქის კამიზიაკის სოფლის რაიონი;

17. ალექსი ილიას ძე **კოსონოგოვს** — სეინერების ფლოტის სამმართველოს თევზსაჭერი სეინერის „ჩუგუევის“ კაპიტანს, სახალინის ოლქი;

18. დანილა სერგის ძე **ლანგუევს** — ჩუპინსკის თევზის ქარხნის თევზჭერის ბრიგადის ბრიგადირს, კარელიის ასსრ;

19. ოკტიაბრ მიხეილის ძე **ლომაევს** — თევზის მრეწველობის სამმართველოს დიდი საყინავი თევზსაჭერი ტრაულერის „ულიანოვსკის“ კაპიტან-დირექტორს, ზღვისპირეთის მხარე;

20. ანდრია იაკობის ძე **მაკლაკოვს** — მტრალავი ფლოტის სამმართველოს თევზსაჭერი ტრაულერის „ტრესკას“ კაპიტანს, მურმანსკის ოლქი;

21. ანატოლი თევდორეს ძე **მერდოვს** — საშუალო თევზსაჭერი ტრაულერის „კრუტოგოროვოს“ კაპიტანს, კამჩატკის ოლქი;

22. ვასილ ვასილის ძე **მიხასკოს** — თევზის მრეწველობის ლიტვის საწარმოო სამმართველოს დიდი საყინავი თევზსჭერი ტრაულერის „კრილოვის“ კაპიტან-დირექტორს;

23. გრიგოლ ალექსანდრეს ძე **მოგუტოვს** — მტრალავი ფლოტის სამმართველოს თევზსაჭერი ტრაულერის „ბელომორსკის“ თევზჭერის უფროს ოსტატს, არხანგელსკის ოლქი;

24. მიხკელ იუხანის ძე **ოადს** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „ნიუკოგუდე პარტიზანის“ მეთევზეს, ესტონეთის სსრ პიარნუს რაიონი;

25. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე **ოძიალს** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „ნანაისკი პარტიზანის“ ბრიგადირს, ხაბაროვსკის მხარის კომსომოლსკის სოფლის რაიონი;

26. სიმონ არქიპოს ძე **ომელჩენკოს** — ორლოვის სახელობის მეთევზეობის კოლმეურნეობის მცირე თევზსაჭერი ტრაულერის„შკვალის“ კაპიტანს, როსტოვის ოლქის ქალაქი ტაგანროგი;

27. ვასილ ალექსანდრეს ძე **პოპოვს** — მტრალავი ფლოტის სამმართველოს ტრულერის „ვოტკინსკის“ უფროს მექანიკოსს, მურმანსკის ოლქი;

28. ნიკოლოზ ვასილის ძე **რედკოკაშეს** — მტრალავი ფლოტის სამმართველოს საშუალო თევზსაჭერი ტრაულერის „უფას“ კაპიტანს, სახალინის ოლქი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. გუნარ იანის ძე **სალტაისს** — საექსპედიციო თევზჭერის სამმართველოს დიდი საყინავი თევზსაჭერი ტრაულერის „ლეონ პაეგლეს“ კაპიტან-დირექტორს, ლატვიის სსრ;

30. პეტრე ალექსის ძე **საფრონოვს** — სახელმწიფო საზღვაო თევზჭერის ბაზის სეინერ „ნეკრასოვის“ კაპიტანს, ასტრახანის ოლქი;

31. დანიელ ვასილის ძე **სემენენკოს** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „ჩერნომორეცის“ ბრიგადირს, ნიკოლაევის ოლქის ქალაქი ოჩაკოვი;

32. ნიკოლოზ ივანეს ძე **სოლოდჩუკს** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „უდარნიკის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, კამჩატკის ოლქის კორიაკთა ნაციონალური ოკრუგი;

33. ავენირ პავლეს ძე **სუხონდიაევსკის**—სამმართველო „ზაპრიბხოლოდ-ფლოტის“ დიდი საყინავი თევზსაჭერი ტრაულერის „ყაზანის“ კაპიტან-დირექტორს, კალინინგრადის ოლქი;

34. პროკოფი თევდორეს ძე **ტელოვს** — მტრალავი ფლოტის სამმართველოს დიდი საყინავი თევზსაჭერი ტრაულერის „სალტიკოვ-შჩედრინის“ კაპიტანს, მურმანსკის ოლქი;

35. იზთურგან **ურაზბაევს** — III ინტერნაციონალის სახელობის მეთევზეობის კოლმეურნეობის თევზსაჭერი სეინერის „მუსონის“ კაპიტანს, გურევის ოლქის ქალაქი ფორტ-შევჩენკო;

36. ვასილ ვასილის ძე **ფალეევს** — ისაენკოს სახელობის თევზკომბინატის თევზსაჭერი სეინერის „გდოვის“ კაპიტანს, ზღვისპირეთის მხარე;

37. არკადი თევდორეს ძე **ციგანკოვს** — მტრალავი ფლოტის სამმართველოს № 9051 საშუალო თევზსაჭერი ტრაულერ-რეფრიჟერატორის კაპიტანს, კალინინგრადის ოლქი;

38. მიხეილ ივანეს ძე **ჩურიკოვსკის** — საექსპედიციო თევზჭერის სამმართველოს № 9144 საშუალო თევზსაჭერი ტრაულერ-რეფრიჟერატორის კაპიტანს, ლატვიის სსრ;

39. დიმიტრი ივანესძე **შაითანოვს** — მტრალავი ფლოტის სამმართველოს თევზსაჭერი ტრაულერის „პერეკოპის“ კაპიტანს, მურმანსკის ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 13 აპრილი.

№ 1254-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

178 სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საავიაციო ტექნიკის ათვისებისას თავდადებული შრომისა და თვალსაჩინო მიღწევებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტუ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი შრომის გმირის წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“:**

1. ბორის ანდრიანეს ძე **ანოპოვს** — სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის პილოტ-გამომცდელს;

2. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ბოგომოლოვს** — იაკუტიის ტერიტორიული სამმართველოს ბორტმექანიკოსს;

3. ივანე ივანეს ძე **ბოგუსლავსკის** — ტერიტორიული სამმართველოს პილოტ-ინსტრუქტორს;

4. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **ვიტკოვსკის** — საავიაციო რაზმის მეთაურს, ქალაქი მოსკოვი;

5. სერგი დიმიტრის ძე **კუზინს** — ავიასარემონტო ქარხნის ხარატს;

6. ანდრია პეტრეს ძე **კურმანჩუკს** — შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიული სამმართველოს ავიატექნიკოსს;

7. პავლე ნიკოლოზის ძე **ნიკოლაევს** — ტერიტორიული სამმართველოს გაერთიანებული საავიაციო რაზმის მეთაურს;

8. ალი მამედ-ნაბი ოღლი **ნოვრუზოვს** — აზერბაიჯანის ტერიტორიული სამართველოს ხომალდ ილ-18 მეთაურს;

9. ალექსანდრე პეტრეს ძე **პომელოვს** — დასავლეთ ციმბირის ტერიტორიული სამმართველოს ხომალდ ტუ-104 მეთაურს;

10. ნიკოლოზ გიორგის ძე **სტეპანოვს** — ვნუკოვოს აეროპორტის სახაზო-საექსპლუატაციო სარემონტო სახელოსნოების მთავარ ინჟინერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 16 აპრილი.
№ 1257-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

179 საქართველოს სსრ მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. ვარდო ილარიონის ასულ **ჯიქიძეს** — დიასახლისს, ქალაქი ბათუმი;

2. ფოტინე ნიკოლოზის ასულ **ყარაღაშვილს** — დიასახლისს, ქალაქი თბილისი;

3. არაქსი ამაზასპის ასულ **კარაიანს** — კოლმეურნეს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ვარევანი;

4. ჰაილაზ აფანდის ასულ **სადოიანს** — მუშას, ქალაქი თბილისი;

5. მერიემ ისმაილის ასულ **შავაძეს** — ქედანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ, ხულოს რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 17 აპრილი.
№ 1260-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

180 აკადემიკოს ბ. ა. ვედენსკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

რადიოტექნიკის განვითარებასა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოს ბორის ალექსის ძე **ვედენსკის** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო.“**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 18 აპრილი.
№ 1263-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

181 საპატიო ნიშნის ორდენით მწერალ ვ. პ. კოზაჩენკოს დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ვასილ პავლეს ძე **კოზაჩენკო** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 18 აპრილი.
№ 1264-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

182 სსრ კავშირის ორდენებით სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ვერტმფრინავის ეკიპაჟის წევრების დაჯილდოების შესახებ

ღელვის დროს სავაჭრო ფლოტის მეზღვართა ჯგუფის გადარჩენისას გამოჩენილი მამაცობის, გამბედაობისა და მაღალი საფრენოსნო ოსტატობისათვის, **დაჯილდოვდნენ:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი ვარსკვლავის ორდენით

ვლადიმერ ალექსის ძე **ტარზანოვი** — სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ვერტმფრინავის პილოტი, სახალინის ოლქი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით

ალექსანდრე ვლადიმერის ძე **მედვედევი** — სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ვერტმფრინავის ავიატექნიკოსი, სახალინის ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 18 აპრილი.
№ 1266-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

183 „საპატიო ნიშნის" ორდენით მწერალ გ. ფ. კუნგუროვის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი გაბრიელ ფილიპეს ძე **კუნგუროვი** დაჯილდოვდეს „**საპატიო ნიშნის**" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 23 აპრილი.
№ 1267-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

184 ლენინის ორდენით ამხ. ა. კახაროვის დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. აბდულაჰად **კახაროვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 23 აპრილი.
№ 1269-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

185 „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით საბჭოთა კავშირის გმირის, საბჭოთა კავშირის მარშალის ს. მ. ბუდიონის დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შექმნისა და ჩვენი სამშობლოს მტრებისაგან საბჭოთა სახელმწიფოს დაცვის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მარშალი სიმონ მიხეილის ძე **ბუდიონი** დაჯილდოვდეს **„ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით,** გაკეთდეს დაჯილდოებულის ბრინჯაოს ბიუსტი შესაბამისი წარწერით და დაიდგას გმირის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 24 აპრილი.
№ 1271-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

186 აკადემიკოს ა. ნ. კოლმოგოროვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მათემატიკის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოს ანდრია ნიკოლოზის ძე **კოლმოგოროვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და უროო.“**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 24 აპრილი.
№ 1272-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

187 ლენინის ორდენით გენერალ-პოლკოვნიკ გ. ი. ხეთაგუროვის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთვთან დაკავშირებით გენერალ-პოლკოვნიკი გიორგი ივანეს ძე **ხეთაგუროვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 24 აპრილი.
№ 1273-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

188 შრომის წითელი დროშის ორდენით ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ნ. პ. ანუჩინის დაჯილდოების შესახებ

მეტყევეობის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ნიკოლოზ პავლეს ძე **ანუჩინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 25 აპრილი.

№ 1276-VI.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ლაოსის მეფის მთავრობამ, რომლებიც გამომდინარეობდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ლაოსის სამეფოს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობიდან, იხელმძღვანელეს მისწრაფებით განავითარონ ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე და 1962 წლის 1 დეკემბერს მოსკოვში დადეს შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ლაოსის სამეფოს მდინარ ნამ-ნეპზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში.

შეთანხმება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებულია 1963 წლის 17 იანვარს; ლაოსის მეფის მთავრობის მიერ — 1962 წლის 21 დეკემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ვიენტიანში 1963 წლის 11 მარტს.

შეთანხმება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" (№ 15, 1963 წლის 10 აპრილი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

თევზის ჭერის და თევზის პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში მოპოვებული წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 13 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მეზღვაურები თევზსარეწი ფლოტისა, მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები თევზის მრეწველობისა და კოლმეურნე-მებადურები, სულ 3947 კაცი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 180 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით — 579, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 818, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 1195 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** 1175 კაცი.

ამათში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სს რესპუბლიკიდან დააჯილდოვა:

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. შალვა ნიკოლოზის ძე **იოსელიანი** — ბათუმის თევზკომბინატის დირექტორი;

2. გივი მიხეილის ძე **უკლება** — ბათუმის თევზკომბინატის № 1151 თევზსაჭერი სეინერის კაპიტანი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. მიხეილ ნიკოლოზის ძე **დიმიტრიევი** — ბათუმის თევზკომბინატის № 230 თევზსაჭერი სეინერის კაპიტანი;

2. პლატონ ვასილის ძე **საპანაძე** — საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტის მმართველი;

3. ოთარ მამედის ძე **წულუკიძე** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „წითელი მეთევზის“ მებადური, ქალაქი ბათუმი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. ვალიკო აკაკის ძე **გუნია** — მეთევზეობის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ თავმჯდომარე, ქალაქი ფოთი;

2. აგაბო სამსონის ძე **კოხოძე** — ბათუმის თევზკომბინატის № 230 თევზსაჭერი სეინერის უფროსი მექანიკოსი;

3. ნინელი ალექსის ასული **პრიხოდკო** — ბათუმის თევზკომბინატის მუშა;

4. მიხეილ გიორგის ძე **ცქიტიშვილი** — საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტის განყოფილების უფროსი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. ბაბულია ალექსის ასული **ახვლედიანი** — შავწყალის კალმახის მეურნეობის მუშა;

2. ნიკოლოზ ბესარიონის ძე **მიმინოშვილი**—სოხუმის მეთევზეობის კოლმეურნეობის მეთევზეთა ბრიგადის ბრიგადირი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ალი ვასილის ძე **ოსეფაშვილი** — ბათუმის თევზკომბინატის მეთევზე;
4. ალექსანდრე ავქსენტის ძე **ჩოჩია** — ფოთის თევზკომბინატის ოსტატი;
5. აზატ აშოტის ძე **ჩუვალჯიანი** — გაგრის მეთევზეობის კოლმეურნეობის მეთევზე.

* * *

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის განვითარებაში დამსახურებისა და საავიაციო ტექნიკის წარმატებით ათვისებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 16 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის 740 მუშაკი. **ლენინის** ორდენით დაჯილდოებულია 112 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით — 205, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 226, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 102 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** —95 კაცი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

189 საქართველოს სსრ სასოფლო რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებების შექმნისა და სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სასოფლო რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებები.

2. გაუქმდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების რაიონული ინსპექციები.

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 102 მუხლში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 23 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

190 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

191 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

192 არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დებულებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დებულების 14 მუხლს დაემატოს ბოლო აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს არასრულწლოვანთა აღმზრდელობით კოლონიებში არასრულწლოვანთა მოთავსებისას მათ მშობლებს დაეკისრებათ ბავშვების შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურება“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 28 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

193 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოს სსრ სახანძრო დაცვის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახანძრო დაცვის 45 წლისთავთან დაკავშირებით ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** საქართველოს სსრ სახანძრო დაცვის მუშაკები:

1. დიმიტრი არჩილის ძე **აბაშიძე** — ქ. წყალტუბოს სახანძრო რაზმის უფროსი;

2. ვარლამ ანთიმოზის ძე **არსანიძე** — ამბროლაურის რაიონის უფროსი სახანძრო ინსპექტორი;

3. დიმიტრი გიორგის ძე **ბარამაშვილი** — გურჯაანის რაიონის სახანძრო ინსპექტორი;

4. ნიკოლოზ ალექსანდრე ძე **ბასტატსკი** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე;

5. დავით ბორისის ძე **ბზეკანავა** — ქ. ბათუმის მე-15 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი;

6. ივანე გიორგის ძე **ბიგანიშვილი** — ქ. თბილისის მე-8 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე;

7. გიორგი იაგორის ძე **გაგიშვილი** — სამტრედიის რაიონის უფროსი სახანძრო ინსპექტორი;

8. სამსონ ვასილის ძე **გაბარაევი** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს სახანძრო დაცვის ინსპექციის უფროსი;

9. ბუდუ ლევანის ძე **გახოკიძე** — ქ. თბილისის მე-2 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე;

10. არჩილ ალექსანდრეს ძე **გელაშვილი** — ქ. რუსთავის მე-13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე;

11. გივი ბენიამინის ძე **დოლიძე** — ქ. ბათუმის მე-10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური;

12. სამსონ კუწუს ძე **ეზუგბა** — ქ. სოხუმის 1 სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური;

13. ვიქტორ სოლომონის ძე **ეიტინგანი** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სახანძრო დაცვის ინსპექციის უფროსი;

14. ერმალო გიორგის ძე **ეძგვერაძე** — გარდაბნის რაიონის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი;

15. მამედ მაგარამ ოღლი **ვალიევი** — დაბა დმანისის სახანძრო რაზმის უფროსი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. თევდორე ალექსის ძე **ზადიშვილი** — ქ. ცხინვალის სახანძრო რაზმის უფროსი;

17. დავით იასონის ძე **ზუკაკიშვილი** — ქ. ბორჯომის სახანძრო რაზმის უფროსი;

18. ვასილ თევდორეს ძე **იაკობიძე** — გორის რაიონის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი;

19. გრიგოლ ტიმოთეს ძე **კორჟინევსკი** — ქ. თბილისის გასამხადრეობული სახანძრო დაცვის განყოფილების ოპერატიული მორიგე;

20. ნიკოლოზ ვიქტორის ძე **მეძმარიაშვილი** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სახანძრო უშიშროების დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე;

21. არმენ მნაცაკანის ძე **ნალბანდიანი** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსი ინსპექტორი;

22. ალექსი ივლონის ძე **ნაჭყებია** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსი ინსპექტორი;

23. ელგუჯა ალექსის ძე **ნიკიტინი** — ქ. რუსთავის მე-13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი;

24. დავით პლატონის ძე **ნიკოლაიშვილი** — საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მახარაძის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე;

25. ალექსი თევდორეს ძე **ოლეინიკოვი** — ქ. გაგრის მე-9 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე;

26. გრიგოლ მელიტონის ძე **სიხარულიძე** — ქ. ბათუმის მე-14 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური;

27. სერგი მოსეს ძე **ქავუარაძე** — ქ. თბილისის მე-2 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი;

28. ალექსი სამსონის ძე **ქარჩავა** — ქ. გაგრის მე-9 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ცალკე საგუშაგოს ათეულის მეთაური;

29. გიორგი გიორგის ძე **ქსოვრელი** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს სასწავლო რაზმის მასწავლებელი;

30. თეოფანე დურსუნის ძე **ცენტერაძე** — ქ. თბილისის მე-10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე;

31. ნიკოლოზ იოსების ძე **ხელაძე** — ქ. ლაგოდეხის სახანძრო რაზმის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 17 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

194 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულის“ დაჯილდოების შესახებ

დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, ნორჩი თაობისა და ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის **საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 19 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

195 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

1. ომლეთ სამსონის ძე **გოგოლაძე** — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი

2. გურამ პავლეს ძე **კაპანაძე** — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე

3. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **პარშინი** — ქ. თბილისის პირველი დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე

4. ილია დიმიტრის ძე **სულხანიშვილი** — ქ. თბილისის მე-6 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე

5. არუთინ ალექსის ძე **ტერტეროვი** — ქ. თბილისის მე-3 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე

6. შალვა პავლეს ძე **ჩარგაზია** — აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი

7. ოთარ გალაქტიონის ძე **ჭაბუკიანი** — ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის განყოფილების ოპერატიული მორიგე

8. ოთარ ზაქარიას ძე **ჭუმბურიძე** — ქ. თბილისის პირველი დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე

9. იოსებ ივანეს ძე **ხუტაშვილი** — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1963 წლის 28 აპრილი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 366 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	48
ქ. ქუთაისიდან	8
ახალქალაქის რაიონიდან	106
ახალციხის „	33
გარდაბნის „	77
გურჯაანის „	30
დუშეთის „	28
თელავის „	14
სიღნაღის „	6
ცაგერის „	7
ცხაკაიას „	9